



Research

# საქართველოს ეკონომიკური კლიმატი



IV კვ. 2024

გამოცემა 28

## საქართველოს ეკონომიკური კლიმატი, IV კვ. 2024



Research

„საქართველოს ეკონომიკური კლიმატი“ პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) პროდუქტია.

ამ ბიულეტენში, რომელიც ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას ეყრდნობა, განხილულია საქართველოს ეკონომიკური კლიმატი ქართველ ეკონომისტთა შეფასებით.\*

აღნიშნული გამოცემისთვის კვლევა ჩატარდა 2024 წლის დეკემბერში.

*\*იმ ეკონომისტების რაოდენობა, რომლებსაც ეგზავნებათ კვარტალური კითხვარი შეადგენს 60-ს. გამოხმაურების დონე, მესამლოა, მერყეობდეს კვარტლების მიხედვით.*

# შეტამება



Research

2024 წლის მეოთხე კვარტალში ჩატარებული ქართველი ეკონომისტების გამოკითხვის მთავარი მიგნებებია:


- ქართველი ეკონომისტები **ნეგატიურად** აფასებენ საქართველოს მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას. მათი მოლოდინი მომდევნო ექვსი თვის თავზე საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ კი კიდევ უფრო **ნეგატიურია**. შეფასებები მნიშვნელოვნადაა გაუარესებული წინა კვარტალთან შედარებით.
- 2025 წლის პროგნოზი რეალური მშპ-ს ზრდასთან დაკავშირებით საშუალოდ 3.6%-ს შეადგენს.
- მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის მოსალოდნელია, რომ წლიური ინფლაციის მაჩვენებელი **გაიზრდება**. 2025 წლისთვის მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებელი საშუალოდ 4.6%-ია.
- მოსალოდნელია, რომ მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის, 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, **ექსპორტისა და იმპორტის მოცულობები შემცირდება**.
- დამატებით, გამოკითხული ეკონომისტების თანახმად:
  - 2024 წლის IV კვარტალში საქართველოს ეკონომიკაზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა **პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობამ**.
  - საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ ვალუტის გაცვლითი კურსის დასტაბილურების მიზნით უცხოური რეზერვების **შემცირებამ** ეკონომისტებში **განსხვავებული მოსაზრებები გამოიწვია**. მათი ნაწილი ამ ქმედებას მიზანშეწონილად, თუმცა გადაჭარბებულად მიიჩნევს, ხოლო სხვები ჩარევის საჭიროებას საერთოდ ვერ ხედავდნენ.
  - სებ-ის ამჟამინდელი საერთაშორისო რეზერვების დონე **მეტნაკლებად ადეკვატურად შეაფასეს** შიდა ეკონომიკურ მოკვებთან გასამკლავებლად, ხოლო არასაკმარისად რეგიონულ და გლობალურ მოკვებთან გასამკლავებლად.
  - ევროკავშირში განწვრიანების მოლაპარაკებების შეჩერება **ნეგატიურად** შეფასდა საქართველოს ეკონომიკისთვის ყველა გამოკითხული ეკონომისტის მიერ. მათი აზრით, მოლაპარაკებების შეჩერება ყველაზე მეტად საერთაშორისო დახმარებაზე და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე იმოქმედებს.
  - ეკონომისტების აზრით, 2025 წელს საქართველოს ეკონომიკაზე ყველაზე დიდ გავლენას მოახდენს **პოლიტიკური არასტაბილურობა და გაცვლითი კურსის ცვალებადობა**, ხოლო ყველაზე ნაკლებს - **იმპორტირებული ინფლაცია და რეგიონული კონფლიქტები**.



# საქართველოს ეკონომიკური კლიმატი

- გამოკითხვის თანახმად, 2024 წლის IV კვარტალში ქართველმა ეკონომისტებმა საქართველოს მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად ნეგატიურად შეაფასეს. მათი შეფასება გაუარესებულია როგორც წინა, ასევე 2023 წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით.
- 2024 წლის IV კვარტალში გამოკითხული ეკონომისტების მოლოდინი მომდევნო ექვსი თვის თავზე საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ ასევე ნეგატიურია, რაც წინა გამოკითხვებს შორის ყველაზე პესიმისტური შეფასებაა.

## საქართველოს ეკონომიკური კლიმატი, IV კვარტალი




\* 2021, 2022 და 2023 წლებისთვის წარმოდგენილია საშუალო კვარტალური მაჩვენებლები.

# მაკროეკონომიკური პროგნოზები


გარდა იმისა, რომ გამოკითხულმა ექსპერტებმა შეაფასეს არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და დააფიქსირეს მოლოდინი მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის, მათ

გააკეთეს საქართველოსთვის ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი.

**გრაფიკი 1:** რეალური მშპ-ს ზრდა საქართველოში და მისი პროგნოზი 2025 წლისთვის (პროგნოზი გაკეთებულია გამოკითხული ეკონომისტების მიერ 2024 წლის IV კვარტალში)



**გრაფიკი 2:** საშუალო წლიური ინფლაცია საქართველოში და მისი პროგნოზი 2025 წლისთვის (პროგნოზი გაკეთებულია გამოკითხული ეკონომისტების მიერ 2024 წლის IV კვარტალში)



- 2025 წლის პროგნოზი რეალური მშპ-ს ზრდასთან დაკავშირებით საშუალოდ 3.6%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი 4.9 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2024 წლის მოსალოდნელ მაჩვენებელთან შედარებით.
- მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის მოსალოდნელია წლიური ინფლაციის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით. 2025 წლისათვის მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებელი საშუალოდ 4.6%-ია, რაც 2.7 პროცენტული პუნქტით მეტია 2024 წლის მაჩვენებელ-

- თან შედარებით.
- მოსალოდნელია, რომ მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ქართული ლარი გაუფასურდება აშშ დოლართან, ევროსთან და თურქულ ლირასთან მიმართებით, ხოლო გამყარდება რუსულ რუბლთან მიმართებით.
- მომდევნო ექვსი თვის ბოლოსთვის, 2024 წელთან შედარებით, მოსალოდნელია ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების შემცირება.

\* 2024 წლის შეფასება დაფუძნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე.


# დამატებითი კითხვები

- გამოკითხვის ფარგლებში, 2024 წლის IV კვარტალში ეკონომისტებმა საქართველოს ეკონომიკაზე ყველაზე დიდი გავლენის მქონე ფაქტორად დაასახელეს პოლიტიკური არასტაბილურობა. ასევე, მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორებს შორის აღმოჩნდა ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობა, ემიგრაციის მალა-

## ლი მარჯვენებელი და მუშახელის დეფიციტი.

- გამოკითხული ეკონომისტების შეფასებით, საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფით ფაქტორებს (პოლიტიკური არასტაბილურობა, ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობა) უფრო დიდი გავლენა აქვს, ვიდრე პოზიტიურ ფაქტორებს (დაბალი ინფლაცია).

**გრაფიკი 3:** შეაფასეთ 1-დან (საერთოდ არ აქვს გავლენა) 5-მდე (ძალიან მაღალი გავლენა), რომელ ფაქტორებს ჰქონდათ ყველაზე დიდი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე 2024 წლის IV კვარტალში




# დამატებითი კითხვები

- 2024 წლის სექტემბერ-ოქტომბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) სავალუტო კურსის შესანარჩუნებლად უცხოური რეზერვები 754 მილიონი დოლარით შეამცირა.
- სებ-ის ინტერვენციის შეფასებისას, გამოკითხული ეკონომისტების აზრი მეტ-ნაკლებად თანაბრად გაი-

ყო. მათი 46% მიიჩნევდა, რომ ინტერვენცია შესაბამისი იყო, მაგრამ მასშტაბი გადაჭარბებული, ხოლო მეორე 46% ფიქრობდა, რომ სებ-ი საერთოდ არ უნდა ჩარეულიყო და სავალუტო კურსს ახალი ეკვილიბრიუმი უნდა ეპოვა.

**გრაფიკი 4:** რომელი ფრაზა გამოახატავს საუკეთესოდ თქვენს პოზიციას სებ-ის გადანყვეტილებასთან დაკავშირებით?




- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სწორი გადანყვეტილება მიიღო, კურსის დასტაბილურების მიზნით ამ მასშტაბით რომ ჩაერია.
- საქართველოს ეროვნული ბანკის ჩარევა შესაბამისი იყო, თუმცა ჩარევის მასშტაბი - გადაჭარბებული.
- საქართველოს ეროვნული ბანკი არ უნდა ჩარეულიყო და უნდა მიეცა საშუალება სავალუტო კურსისთვის, რომ ახალი ეკვილიბრიუმი ეპოვა.
- არ მაქვს მოსაზრება

- 2024 წლის ნოემბრის ბოლოს სებ-ის საერთაშორისო რეზერვები 4.1 მილიარდ დოლარს შეადგენდა.
- რესპონდენტების 46%-მა ეს რეზერვები შეაფასა, როგორც „მეტ-ნაკლებად საკმარისი“ შიდა შოკებთან გასამკლავებლად, თუმცა მხოლოდ 25%-მა მიიჩნია ისინი „საკმარისად“ რეგიონულ და

გლობალურ შოკებთან გასამკლავებლად.

- გამოკითხულთა 38%-მა აღნიშნა, რომ რეზერვები „არასაკმარისია“ გლობალურ შოკებთან გასამკლავებლად. ასევე, აღსანიშნავია, რომ არცერთ მათგანს არ დაუფიქსირებია, რომ რეზერვები „სრულიად საკმარისია“ გლობალურ შოკებთან გასამკლავებლად.

**გრაფიკი 5:** როგორ შეაფასებდით სებ-ის უცხოურ რეზერვებს შემდეგი ეკონომიკური მოკებისთვის:



- უარი პასუხზე
- არასაკმარისი
- უმეტესად ადეკვატური
- არ მაქვს მოსაზრება
- ძალიან არასაკმარისი
- მეტ-ნაკლებად ადეკვატური
- სრულიად ადეკვატური

# დამატებითი კითხვები

- 28 ნოემბერს, პრემიერ-მინისტრმა გამოაცხადა, რომ ევროკავშირში განწევრიანების მოლაპარაკებები 2028 წლის ბოლომდე შეჩერდა.
- გამოკითხული ეკონომისტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ევროკავშირში განწევრიანების მოლაპარაკებების შეჩერება უარყოფითად ან ძალიან უარყოფითად


იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე.

- რესპონდენტების აზრით ევროკავშირის წევრობის მოლაპარაკებების შეჩერება ყველაზე ნეგატიურად საერთაშორისო დახმარებაზე, დასავლეთის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე და შიდა ბიზნეს-გარემოზე იმოქმედებს.

**გრაფიკი 6:** თქვენი აზრით, რა გავლენა ექნება ევროკავშირის წევრობის მოლაპარაკებების შეჩერებას საქართველოს ეკონომიკაზე?



**გრაფიკი 7:** თუ ფიქრობთ, რომ ევროკავშირში განწევრიანების მოლაპარაკებების შეჩერება უარყოფითად იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე, გთხოვთ, შეაფასოთ მისი გავლენა შემდეგ ასპექტებზე 1-დან (საერთოდ არ აქვს გავლენა) 5-მდე (ძალიან მაღალი გავლენა).






# დამატებითი კითხვები


- 2024 წლის IV კვარტლის გამოკითხვაში ეკონომისტებმა დაასახელეს ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს საქართველოს ეკონომიკურ ზრდას 2025 წელს.
- **პოლიტიკური არასტაბილურობა** დასახელდა, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. მას მოჰყვა ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობა და შიდა მოთხოვნის შემცირება.
- იმპორტირებული ინფლაცია და რეგიონული სამხედრო კონფლიქტები ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორებად შეფასდა.
- გამოკითხულმა ეკონომისტებმა შიდა ფაქტორები (მაგალითად, პოლიტიკური არეულობა) უფრო გავლენიან ფაქტორებად მიიჩნიეს, ვიდრე გლობალური ფაქტორები (მაგალითად, რეგიონული სამხედრო კონფლიქტები).

**გრაფიკი 8:** გთხოვთ, დააღაგოთ შემდეგი ფაქტორები იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელის შემშლელი იქნება ისინი საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის 2025 წელს, 1-დან (ყველაზე ნაკლებად შემშლელი) 7-მდე (ყველაზე მეტად ხელის შემშლელი).




# სხვა ეკონომიკური ინდიკატორები საქართველოში


გრაფიკი 9: მშპ ერთ სულ მოსახლეზე მიმდინარე ფასებში




გრაფიკი 10: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი შეფარდება მშპ-სთან



გრაფიკი 11: სახელმწიფო საგარეო ვალი და მისი შეფარდება მშპ-სთან



გრაფიკი 12: უმუშევრობის დონე



# სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMCG არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMCG არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMCG ითვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMCG თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMCG-ის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამონვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMCG-ს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMCG დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამონვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMCG-ის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMCG-ის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMCG-ს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არ აღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3  
სართული, თბილისი, 0102, საქართველო.  
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181  
ელ. ფოსტა: [research@pmcginternational.com](mailto:research@pmcginternational.com)  
ვებსაიტი: [pmcresearch.org](http://pmcresearch.org)

**გიორგი ხიშტოვანი**  
კვლევითი დირექტორი  
[g.khishtovani@pmcginternational.com](mailto:g.khishtovani@pmcginternational.com)

**გოჩა ქარდავა**  
მკვლევარი  
[g.kardava@pmcginternational.com](mailto:g.kardava@pmcginternational.com)

**გუგულა ცუხიშვილი**  
უმცროსი მკვლევარი  
[g.tsukhishvili@pmcginternational.com](mailto:g.tsukhishvili@pmcginternational.com)

**გიორგი შოგირაძე**  
უმცროსი მკვლევარი  
[g.shogiradze@pmcginternational.com](mailto:g.shogiradze@pmcginternational.com)